№ 108 მაისი 27, ხუთშაბათი — 1893 — მაისი 27, ხუთშაბათი № 108


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ; თავ. გრუზინსკის [illegible] ლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


**ბარბარე სოლომონის ასული და ალექსანდრე ექვთიმეს ძე ნეზიერიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი—დეთამთილისა, ხოლო მეორე—დედისა და სთხოვენ მობრძანდნენ დღეს, 27 მაისს, დილის 8 საათზედ მიცვალებულის გამოსვენებაზედ წმ. სამების ეკლესიაში ქართველიშვილის სახლიდგან, ჰავჭავაძის ქუჩა № 25. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზედ.

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის აღკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა სთხოვს საბჭოს წევრთ და აგრეთვე ყველას, ვინც ქრისტიანობის გავრცელების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდნენ 12 საათზედ 6 ივნისს, ექსარხოსის ეკლესიაში გარდახდილ წირვისა და პარაკლისის შემდეგ, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის სახლში საბჭოს წლიურ კრებაზედ. ამ კრებაზედ, თანხმად საზოგადოების წესდების მე 12 მუხლისა, წაკითხულ იქნება საზოგადოების ანგარიში 1892 წლისა, არჩეულ იქმნებიან საბჭოს ახალი წევრნი, მათ მაგიერად, ვისაც სამსახურის 3 წლის ვადა გაუთავდათ; აგრეთვე არჩეულ იქმნება კამისია საზოგადოების წასრულ წლის ანგარიშის სარევიზიოდ.

---

### სახლების აშენების ამხანაგობისაგან

რადგან იანვარში დანიშნული კრება არ შესდგა, კვირას 6 ივნისს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება „სახლების აშენების ამხანაგობისა“.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ მოქმედებისა წარსულ წილსა.

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და

3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

(5—1)

---

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

№ 5.

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში

**ვილჰელმ ტელი**

(შილლერიდგან)

ი. სანებლიძისა

ფასი სამი შაური.

---

უკანასკნელს კრებაზედ ქართველთა ამხანაგობის გამომცემელ საზოგადოებისა ერთი პატივცემული ქართველი, მსურველი წევრად შემოსვლისა, ულმობელად კენჭის ყრით გაშავებულ იქმნა.

რადგანაც ასეთი გადაწყვეტილება ამხანაგობისა არ ეშესაბამება ჩემს რწმუნებას, ამიტომ, თუმცა გულის ტკივილით, მაგრამ იძულებული ვარ უარი განვაცხადო ამხანაგობის წევრობაზე და გავყიდო ჩემი პაი. მსურველთ მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში.

ეგნატე ხრამელაშვილი

(2—2)

---

### საკვირველი შემთხვევა

„წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ უკანასკნელ კრებაზე ერთი სრულიად გაუგებარი საქმე მოხდა. ამ დღეს გაუშავებიათ და არ მიუღიათ ამხანაგად, „ამხანაგობის“ წევრად ისეთი კანდიდატი, რომელსაც არა მცირე მონაწილეობა აქვს თითქმის ყოველ გვარ ქართულ საქმეში.

გაშავებული კანდიდატი აგერ 12 წელიწადია მასწავლებლად არის ტფილისის ერთს სასწავლებელში; ეს უარ-ყოფილი „ამხანაგობისაგან“ კაცი დიდი ხანია მონაწილეობას იღებს ქართულ მწერლობაში, შეუდგენია ქართული სახელმძღვანელოები, რომელიც მიღებულია სკოლებში; გამოუცია მრავალი ქართული წიგნები, არ დაუშურებია ამ საქმისათვის არც გულ-მოდგინე შრომა და არც ხარჯი. ამასთან იგი არის წევრი „წერა-კითხვის საზოგადოებისა“, ქართულის დრამატიულ საზოგადოებისა. მაგრამ „ამხანაგობამ“ არ ისურვა, რომ ეს მოღვაწე მიეღო „ამხანაგობის“ წევრად და გააშავა.

ჩვენ სრულიად ვერ მიმხვდარვართ—რას უნდა მოასწავებდეს ამ ნაირი სასტიკი განაჩენი „ამხანაგობისა?“

აქამდის ჩვენ გვეგონა, რომ „ამხანაგობას“ რაც მომეტებული წევრი ეყოლებოდა, მით უფრო სასარგებლო იყო მისთვის. მასთან თუ წევრს ფულის შეტანასთან „ამხანაგობაში“ სხვა რამ ღირსებანიც შეჰქონდა, მაგალითად, ლიტერატურული განვითარება, შრომის სურვილი საზოგადო საქმისთვის, მაშინ ხომ ამისთანა კანდიდატს ორივე ხელით უნდა ჩაფრენოდნენ? მაგრამ ასე არ მოხდა.

„ამხანაგობამ“ არ მიაქცია არავითარი ყურადღება კანდიდატის არც წარსულს სალიტერატურო დამსახურებას, არც ეხლანდელ მის მონაწილეობას ყოველ გვარ ქართულ საქმეში.

ჩვენ ძალიან გვაწუხებს იმის ფიქრი, რომ ნორჩს „ამხანაგობას“ რაიმე კერძო, უმნიშვნელო მიზეზის გამო გაეშავებინოს ხსენებული პირი, თუმცა, ამ ბოლოს დროს საკმაოდ შევეჩვიეთ ყოველ გვარ საარჩევანო სიურპრიზებს.

დღეს ჩვენ აღარ გვაკვირვებს ყოვლად ღირსეულის, მთელის ქვეყნისაგან უანგაროდ ცნობილის მოღვაწის გაშავება არ გვაკვირვებს არც ის, რომ ამ კეთილშობილს კაცს, რომელიც მილიონებში თავისუფლად ურევდა ხელს და იქიდან არა უსარგებლია-რა, საზიზღარ ცილსა სწამებენ და სამარცხვინო ჭორებს უგონებენ! და როდესაც ამ საარჩევანო ოინებით წახალისებულ ვაჟბატონებს პასუხსა სთხოვენ, მაშინ ისინი, როგორც წესია მხდალთა და ჯაბანთა, უარზე დგებიან და ფერმკრთალნი აღიარებენ: „ჩვენ ეს არ გვითქვამსო“. ვამბობთ, ესენი დღეს ჩვენ აღარ გვაკვირვებს. მაგრამ ისიკი უნდა ვსთქვათ, ამ ნაირ წესების შემოღება საზოგადო ცხოვრებაში სათრთხილოა და რამე საშვალება უნდა იქმნას მიღებული. საზოგადოების წევრი, რომელიც სტყუის, მეჭორობს, მიეთ-მოეთობს, ღირსია დასჯისა.

სანამდის საზოგადოება რომელსამე მტკიცე გადაწყვეტილებას არ დაადგება ამ ავყიათა და მავნე გრძნობათა მექონე ვაჟბატონთა შესახებ, მანამდის მოსვენება ხომ არ იქნება და არა!

ამას რატომ ვერ გაიგებენ ეს მართლა და გონებით საბრალო არსებანი, რომ, ვისაც სხვას პატიოსნების, სახელის, ჭკუის და მდგომარეობის პატივისცემით მოპყრობა არ შეუძლია, იმას ხომ არც თავის თავის პატივისცემა აქვს, არც ზნეობა და არც გონიერება. ასე ადვილად უწმაწურ სიტყვების და აზრების წამომსროლელ მოღვაწეთა ჩვენ მივამზგავსებთ ზოგიერთ ჭინჭყლიანს კაცს, რომელიც არასფრად არა სთვლის რამდენჯერაც გალანძღონ და გაათრიონ.

ზრდილობა და მართებულობა დიდი საქმეა, და ნამეტურ მათთვის, ვისაც საქვეყნოდ ლაპარაკი სნეულებად გადაჰქცევია.

მაგრამ ჩვენ ერთობ ავშორდით დღევანდელს ჩვენის საუბრის საგანს. ვიქონიოთ იმედი, რომ „ამხანაგობა“ აგვიხსნის, რითი ხელმძღვანელობდა, როდესაც შავ

---

## ფელეტონი

### ორი გრძნობა

მდუმარს ქვეყანას მოკისკისე ვარსკვლავთ გუნდი
აშიგ ქალსავით ზე დაჰჩხაჩის, ალერსებს,
და გომბორის წვერს დაურდნობილი
ღამის გუშაგი
ალაზნის ველსა, მობიბინეს, ესაყვარლება.
გულიც მღიმის... საიდუმლო, ტკბილ
სანეტარო
ოცნების ზურანს წაუღია... და დანავარდობს,
აღფრთოვანებულ გრძნობათ ღელვა ცა-
სა სივრცეში,
ვარსკვლავთა გუნდთან შენაერთი, იმედით
ჰხარობს.

* * *

აგერ ლაჟვარდ ცას ვარსკვლავთ გუნ-
დში გამოჰკრევია
შავი ღრუბელი... მაგრამ ვარსკვლავთ
სხივი მას ჰფარავს,
გულის სიღრმეს-კი მიკუნჭული მწარე ფიქრები
გულსა მიწულავენ... მაგრამ სიღრმეს
მათ ვერ დავჰკრძალავ!

ნარკანი

93 წელს,
27 მაისი.

### ფ ე ჩ ე ი ა

(დასასრული *)

X

გავიდა რამოდენიმე თთვე მას შემდეგ, რაც ფეჩეია ავად გახდა. შემოდგომის დღე იყო. მზის სხივები, თუმცა კიდევ ანათებდნენ ქვეყანას, მაგრამ აღარ ათბობდნენ-კი. ხანდახან დაუბერავდა ხოლმე ცივი ქარი და ღრიალით მივარდებოდა როხეებს, აგლეჯდა ფოთლებს და ჰყრიდა დედამიწაზედ. სხვა-და-სხვა ფერის, ზოგი გაყვითლებული, ზოგი გაწითლებული, ზოგი ისევ მწვანე ფოთლები ერთხელ კიდევ შეფრიალდებოდნენ, მერმე შეინავარდებდნენ ჰაერში, მოშორებულნი თავიანთ მშობელ ხეს და შრიალით ეცემოდნენ დედამიწაზედ. ხე ჰკვნესოდა, სტიროდა, თითქოს ეთხოვებაო თავის შვილებს, მაგრამ რა შეეძლო, ქარი მაინც თავისას არ იშლიდა და ყურადღებას არ აქცევდა არასფერს.

ერთ ამისთანა საღამოს, როცა ბუნება სასიკვდილოდ ემზადებოდა, თავის სასენაკოს წინ კარში იჯდა საბრალო ფეჩეია, ესეც სასიკვდილოდ დამზადებული, და დაღონებული შეჰყურებდა ხან ს—ნის მშვენიერს ეკლესიას, რომელიც უცვლელად იდგა და არ ეპუებოდა ქარს და ხან ეკლესიის გვერდზედ მდგომ ვეება ცაცხვებს, რომელნიც ნახევრად გატიტვლებულნი, სამწუხარო სურათს წარმოადგენდნენ.

ფეჩეია მისჩერებოდა ცაცხვებს და ჰფიქრობდა, თქვენ მართალია ჰკვდებით, მაგრამ ისევ მალე გაცოცხლდებით, მე-კი, მე-კი საუკუნოდ უნდა მოვკვდეო. ფეჩეია, თითქოს შენატროდა ბუნებას, და თავში გაუელვა, რატომ ადამიანიც იმ ნაირადვე არ არის გაჩენილი, რატომ ამასაც არ შეუძლია ხელახლავ გაცოცხლებაო? გაუელვა ამ ფიქრებმა და თვალებზედ ცრემლები მოერია, მაგრამ ისევ უცებ შეიმაგრა თავი და შეხედა ეკლესიას. „შემინდევ, ღმერთო, მე ცოდვილს ყოველივე შეცოდებანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიეთნი!“ სთქვა საბრალომ და დაიწყო ჩვეულებრივად სინანულის ლოცვის ზეპირად თქმა, რომ მოენანიებინა თავისი შეცოდება და შემდეგში აღარ მოსვლოდა იმისთანა ფიქრი, რომელიც წელან მოუვიდა.

ლოცვაში გართულს არც-კი გაუგია, როგორ მოუახლოვდა მისი გამზრდელი მაკა, რომელიც ხშირად მოდიოდა ხოლმე ფეჩეიას სანახავად.

— როგორა ხარ? ჰკითხა მაკამ ფეჩეიას მისალმების შემდეგ.

— კარგად ვარ, ძლიერ კარგად, მიუგო ფეჩეიამ: თუ ამაღამ არა, ხვალ მაინც გამოვეთხოვები წუთისოფელს. მაკას თვალებზედ ცრემლები მოერია და ტკბილად უთხრა:

— წამოსულიყავ ჩემს სახლში. აქ სინესტეა. მოვლითაც მე უფრო კარგად მოგივლიდი, როცა ჩემთან იქმნებოდი. ფერშალი ამბობს, ბინის გამოცვლა ძლიერ მოუხდებათ; რიგიანად რომ უვლიდეს თავს, კიდევ იცოცხლებსო...

— რად მინდა მერე, რომ ვიცოცხლო? მე აწი ისე ველარ გამოვმრთელდები, რომ სხვისთვის სასარგე

*) იხ. «ივერია», № 107.

...ზებს უურიდა ისეთს კანდიდატს, ...მლის გაშავება, ჩვენის აზრით, დანაშაულობა იყო.

მეველე

# ახალი ამბავი

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ სახალხო სეირნობა დ ალეგრი გაიმართება ან 30 მაისს ან 6 ივნისს, მუშტაიდში.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ი. გედევანიშვილისაგან და მის მეუღლე ნინოსაგან 10 მან., რომელიც გადაეცა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ალეგრისთვის შემოსწირეს:

ქ-მა ნინა ნიკოლოზის ასულმა გერიძმა—ძვირფასი ნაკერი ბალიში და სუფრა.

ქ-მა სოფიო გრიგოლის ასულმა დოდაევისამ—ძვირფასი ყვავილებიანი რამკა.

*** სამშაბათს, 25 მაისს, კავკასიის სატილოქსერო კომიტეტმა და ზოგიერთ ვენახის პატრონთ ვერის ბაღში გაუმართეს სადილი პატივცემულ მეცნიერს მარიონს, გორვატს, პროფესორს კოვალევსკისა და პროფესორს მელიქიშვილს.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი, «ვილჰელმ ტელი» (შილერიდგან), იოსებ სანებლიძისა, დაბეჭდილი „ქუთაისის ამხანაგობის“ მიერ. ეს პატარა წიგნი უკვე მეხუთე წიგნია ამხანაგობის დაბეჭდილთა შორის და მოგვითხრობს შვეიცარიელების პირვანდელ ამბებსა და ისტორიას ვილჰელმ ტელისას, რომელმაც გაანთავისუფლა, გადმოცემით, თავისი სამშობლო ქვეყანა გერმანელ მტარვალთა და მონობისაგან. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი და ქართულიც ურიგო არ არის, სულ 36 გვერდს შეიცავს და ღირს სამი შაური.

*** გამოკვლევა ბორჯომის რკინის გზისა უკვე გათავდა. მთელ გზაზედ ერთი გვირაბი იქნება ჰობის ხევისკენ, მტკვრის მარჯვენა მხარეს.

ამ ახალ პროექტის გამო რკინის გზისთვის საჭირო ხარჯი ძლიერ შემცირდება. გვირაბის სიგრძე 100 საჟენი იქნება.

*** ორშაბათს, 24 მაისს, ტფილისის გამგეობის დარბაზში ბ-ნ თამამშევს უეცრად თავი ასტკივდა და გულის რევა მოუვიდა. ერთი ჩოჩქოლი ასტყდა „არიქა ხოლერაო“. მოიყვანეს ექიმი, რომელმაც იმავ წუთას მოარჩინა ავადმყოფი და სახლში გაგზავნა. აღმოჩნდა, რომ არავითარი ხოლერა არა ყოფილა და აურ-ზაური ტყუილად ასტეხეს.

*** ორშაბათს, 24 მაისს, ქალაქის გამგეობაში მივიდა 16 კაცი ტფილისის მეცხრე ნაწილის მცხოვრებნი და მიართვეს გამგეობას საერთო თხოვნა. თხოვნაში არის მოხსენებული, რომ გამგეობამ შეაჩეროს ვერაზედ საქალაქო მამულზე აშენებულ სახლების დაქცევა და აგრეძვე შეუვსოს ზარალი იმ მცხოვრებთ, რომლების სახლები უკვე დანგრეულია.

ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ის სახლები, რომლებიც დაუნგრევიათ პოლიციელებს 22 მაისს, სახლები-კი არა, მიწაში გამოთხრილი გომურები ყოფილა, აქა-იქ იდგა ბოძები და დაფარებული ჰქონდა ფიცრები. ყველა ეს შენობა ერთ ღამეს აუგიათ, ხოლო ორი სახლი შარშან იყო აგებული: მჭედლიძისა და ოქროპირიძესი. დანარჩენი სახლები სულ ამ თვეში აუშენებიათ. ამ სახლებში არავინა სცხოვრობდა და მხოლოდ იმისთვის ჰქონდათ პატარა ქოხები გამართული, რომ შემდეგ იქნება ადგილი დავისაკუთროთო.

ქალაქის გამგეობა, რა თქმა უნდა, საქმის გარემოებას რიგიანად გამოიკვლევს.

*** განჯა: 25 მაისს, დღისით, აქ ცეცხლი გაუჩნდა რკინის გზის ხეტყის საწყობს და ბევრი ხე-ტყე დაიწვა.

*** კასპი: 25 მაისს, ღამის 11 საათზე, ადიდდა მდინარე ლეხურა და რკინის გზის ხიდის ბურჯები მოგლიჯა. საქონლის მატარებლის მიმოსვლა შეჩერებულია, ხოლო სახალხო მატარებელი მაინც დადის.

*** ბორჩალო: თუმცა, მართალია, დიდად სასარგებლო და სასიამოვნო იყო და არის ეს მაისის ჟუჟუნა წვიმები, რომელსაც მოუთმენელად ველოდით, მაგრამ ზოგს სიხარულის მაგიერად დიდი მწუხარებაც მოაყენა. აი, მაგალითად, წუხელ, სამშაბათს საღამოს, 11 მაისს, ერთი საზარელი საქმე მოხდა სოფელს ტანძიაში. მამლის ყივილის დროს რომ მოატანა, წვიმით გაჟღენთილმა იასე ბიძინაშვილის სახლმა ერთბაშად დაიძახა და ჩაწვა. ვინც იქ იყვნენ და რაც ჰქონდათ, ყველაფრით შიგ მოჰყვა. ხალხი მალე მიეშველა და რვა სული გამოიყვანა ნანგრევიდამ, მაგრამ, საუბედუროდ, უფროსი შვილი იასე ბიძინაშვილისა, თექვსმეტის წლის ვაჟი-კი ისეთ ადგილას მოჰყოლოდა, რომ მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

*** ს. ცერონისი (გორის მაზრა): 20 მაისს აქ დიდი ობედურება დატრიალდა. თ. გ. ჯავახიშვილს, რომელიც ს. კოდიდგან ს. ცერონისს მიემგზავრებოდა საღამო ჟამზე, ტყეში დაუხვდნენ ოთხნი ავაზაკნი, ცხვირ-პირ შეხვეულნი. თ. გ. ჯავახიშვილი გადმოეღოთ ცხენიდგან, დაეწყოთ ცემა და როცა მას რევოლვერით მოგერება მონდომია, ამ დროს ერთი ავაზაკთაგანი ზურგიდგან მიჰპარვია, დაუკრავს თავში ხანჯალი და ოთხთავენი უცებ აქეთ-იქით გაცვინულან. გ. ჯავახიშვილს ეყვირნა, სანამ შესძლებოდა. მის ყვირილზე მახლობელ სოფლიდგან გლეხ კაცები მიშველებოდნენ. გ. ჯავახიშვილი ძალიან არის დაშავებული; იმედი არა აქვთ მორჩენისა. ავაზაკები ვერ უცვნია და დღემდის ვერ უპოვნიათ. სოფლებში ხმა არის გავრცელებული, ვითომ ს. ცერონისის მცხოვრებნი იყვნენ ავაზაკობის ჩამდენნიო.

*** სალიანიდგან სწერენ Кавк.-ს „მტკვარი საშინლად ადიდდა, ზედ მოჰყვა სასტიკი ქარიშხალი და მტკვრის ნაპირები მოარღვია. ჩაიტანა ბევრი სახლი. ამ გვარივე უბედურება მოელის სხვა ადგილებსაც. ძალიან საჭიროა ნაპირების გამაგრება, თორემ ყოველ წლივ გადმოვარდება ხოლმე წყალი და წალეკავს ახლო-მახლო სახლებსა და ნათესს მინდვრებს. წელსაც დიდი ზარალი მოგვცა. მთლად წალეკა ჩვენი ნათესები სოფ. ზემო-გაშიმხანამდის. თუ დროზედ არ ეშველა, წყალი წალეკავს მთელ ჯივათის მაზრას. ზოგიერთ ადგილებში დიდი გუბები დადგა და ამ გარემოებამ ძლიერ დაგვაფიქრა.

*** გაზეთ „Т. Л.“ სიტყვით, ბაქოელი ექიმები იუწყებიან, რომ იქ ამ ჟამად ხალხი კვახე ალუჩას ძლიერ ეტანება და ამის გამო ბევრი ხდება ავად პირსაქმებითა და სტომაქის მოშლით.

*** 25 მაისს ნიკოლოზის ქუჩაზე ვილიასის კერძო პანსიონში ფანჯრიდამ ვიღაცამ ამის კვირის დაბადებული ბავშვი შეაგდო. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** 24 მაისს აგურის ქუჩაზედაც იპოვნეს ხუთის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი და ისიც საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

## ბ-ნ ანტონ დუმბაძის საეკლესიო გალობის შესახებ

ერთი დიდად სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს საზოგადოებას. ნამდვილად შევიტყეთ, რომ ბ-ნ ანტონ დუმბაძეს დიდი ხანია განზრახვა ჰქონია და აქვს, რომ თავისი გალობა ნოტებზე გადაალებინოს სრულად. ამ ამბავმა ისე გვასიამოვნა და გაგვახარა ბევრნი, რომ ამ სიამოვნებისა და სიხარულის გამოსათქმელად სუსტია ენაცა და კალამიც. ან ვის არ გაახარებს ეს ამბავი. ბ-ნ ანტონი დუმბაძე არის სრული წარმომადგენელი ჩვენის გალობისა, იმისი სახელი და ქება მთელს საქართველოს კიდის კიდემდეა მოფენილი; იმას არა ჰყავს სწორი და ბადალი გალობაში, იმისი ტკბილი, ღმობიერი და რიხიანი გალობა ვის გულს არ გაათბობს ტკბილის გრძნობით და არ აღანთებს კეთილის საქმისათვის. იმისი გალობა მთელს წარსულს მოაგონებს კაცს, გულს აუკვნესებს, მომავალის იმედს მისცემს და სიხარულის ცრემლს აფრქვევინებს. გულ-ჩვილსა და სამშობლოს მოყვარულს კაცს ამ დროს ხელსახოცი უნდა ეჭიროს ხელში, რომ ეს გლოვის და თან ნუკეშის ცრემლი ... ნდოს. მეტადრე ... გალობელის, რომ არ შეიძლება კაცის გული არ აადუღოს და დროებით მაინც არ დაავიწყოს ყოველივე სიავე. თუ ბ-მა ა. დუმბაძემ თავისი განზრახვა შეასრულა და გალობა ნოტებზე გადაალებინა ეს ისეთი განძი იქნება მისის მხრით დატოვებული, რომ ბ-ნ ა. დუმბაძეს პირნათლად შეუძლია წარმოსთქვას: მე ღვთისაგან მოცემული ნიჭი უნაყოფოდ არ ჩავატარე, კარგად მოვიხმარე და კაცობრიობას ვუანდერძეო.

ცოტა იბადება ქვეყანაზე ისეთი კაცი, რომ ამისთანა სასახელო საქმის დატოვება შეეძლოს ქვეყანაზე და ბ-ნი ა. დუმბაძეც ერთი ამისთანა კაცი იქნება. იმის სახელს არ დაივიწყებს მთელი საქართველო და იმის გადაღებულ გალობის ლაღადებასთან ერთად შეერთებული იქმნება იმისი სახელიც. მართალია, ბევრნი თვალწუნებით უყურებენ გალობის ნოტებად გადაღების საქმეს, მაგრამ ბ-ნი ა. დუმბაძე საკმაოდ შეგნებული კაცია, იმას, რასაკვირველია, ბევრჯერ უყურებია უცხო ტომთა ნოტებზე გალობისათვის, საცა მთელი გუნდი ესე იგი ოცი და ორმოცი კაცი „დაწკაპულ“ ჯარსავით თანასწორის ნაბიჯით მიდის და ფეხის ხმაურობასთან ერთად გულსაც ბაგა-ბუგი გააქვს. ეს თანასწორი ნაბიჯი, თანასწორივე სწრაფლი მიხვრა-მოხვრა და იარაღის წარჯვედ ხმარება თვით ლაჩარსაცკი აუძგერებს გულს და მახვილს გაალესინებს მტრის მოსაგერებლად. მართალია ჯერ შორი მანძილია იქამდე, რომ ჩვენი გალობა გვერდში ამოვუყენოთ უცხო ტომთა გალობას, რომ შეგვეძლოს თქმა, თუ თქვენ გაქვთ კარგი გალობა ნაკლები არც ჩვენ გვაქვსო. მაგრამ ამას ჩვენ არ ვესწრაფებით. თუ ნოტებზე გადავიდა ჩვენი გალობა, დაიბეჭდა და გავრცელდა, ოდესმე ხომ მოხდება ესა და ჩვენ ამითიც კმაყოფილი ვიქნებით.

გალობის ერთი მოყვარულთაგანი

---

...ბლო ვიქმნე და იმ ნაირ ყოფნას-კი, რომ სხვის კისერზედ ვიყო, სიკვდილი მირჩევნია. მე ჩემი საქმე გავათავე და ვმადლობ უფალს, რომ მაშინ მკლავს, როცა აღარავისთვის საჭირო აღარა ვარ. მაკას აღარაფერი უჭქვამს ამას შემდეგ.

ღამებამ მოატანა. თან-და-თან სცივდა. ფეჩეიაზედ იმოქმედა სიცივემ და გააცივა.

— სახლში შევიდეთ, შვილო, გცივა, უთხრა მაკამ დაააყენა ფეჩეია. ფეჩეიამ ძლივს შეიმაგრა თავი და, მაკას მხარზედ დაყრდნობილი, შემოვიდა სახლში. მაკამ დააწვინა ფეჩეია ლოგინში და თბილად დახურა, მაგრამ ფეჩეია მაინც კანკალებდა სიცივით. გავიდა რამოდენიმე წამი. ოთახში სრული სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ქარის გრიალი მოისმოდა ხანდახან.

უეცრად მოისმა ჩქარი ფეხის ხმა და ოთახში შემოვიდა მეზობელი მონაზონი.

— ზოსიმე მოდის! დაიძახა იმან.

— ვინ ზოსიმე? დაეკითხა მაკა.

— ჩვენი ზოსიმე, მთაწმინდელი ბერი, მიუგო მონაზონმა.

— ზოსიმე? დაიძახა ფეჩეიამ და, თითქოს ავად არც-კი არისო, წამოჯდა უცებ და მიაშტერა სიხარულით სავსე თვალები კარებს.

კარებში გამოჩნდა მართლაც ჩვენი ნაცნობი ზოსიმე ბერი.

— მშვიდობა სახლსა ამას! დაიძახა ზოსიმემ და შემოსვლისთანავე ჯერ ხატებს შეჰხედა, პირჯვარი დაიწერა და მერე მივიდა ავადმყოფთან.

— გაკუ ითხოს, შვილო, უფალმა, უთხრა ზოსიმემ ფეჩეიას და გაუწოდა ხელი. ფეჩეია ემთხვია ხელზედ და აღტაცებულმა წამოიძახა:

— ოჰ, რა ბედნიერი ვარ! გმადლობ შენ, ღმერთო, რომ ნატვრა შემისრულე. ჩემი სურვილი იყო, ერთხელ კიდევ მენახე, მამაო ზოსიმე, რომ შენ ხელში დამელია სული, და აჰა სურვილი ამიხდა! შენ ამიხილე თვალი და შენვე დამიხუჭავ; შენ დამაწყებინე ცხოვრება ამ ქვეყნიური და იმ ქვეყნისთვისაც შენ მომამზადებ, როგორც ამ ქვეყნისთვის მომამზადე. აწი აღარაფრისა აღარ მეშინია...

— უჩემოდაც რისა გეშინოდა, შვილო? უთხრა ზოსიმემ: სიკვდილის იმას უნდა ეშინოდეს, ვისაც ამ ქვეყნიური ვალი არ მოუხდია და არ იცის, რა მიელის იმ სოფლად? შენ-კი დარწმუნებული იყავი, რომ იმ მწუხარების ნაცვლად, რომელიც აქ შეგხვდა, საუკუნო ნეტარება დაიმსახურე!

ფეჩეიას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონია. ჰგრძნობდა, რომ მოახლოვებულია აღსასრული, და უხაროდა, რაკი თავისთან ჰხედავდა თავის მოძღვარს ზოსიმეს. დარწმუნებული იყო, რომ ზოსიმე პირდაპირ ანგელოზებს გადასცემდა იმის სულს.

თუმცა ამ ავადმყოფობაში რამდენჯერმე იყო ნაზიარები ფეჩეია, მაგრამ მაინც სთხოვა ზოსიმეს, მოესმინა მისი აღსარება და იმის ხელიდგან ერთხელ კიდევ მიეღო წმიდა საიდუმლო. ზოსიმემ შეუსრულა თხოვნა და აზიარა.

ზიარების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია ფეჩეიას და სრულიად დამშვიდებულმა ლოცვების ლაპარაკში და ზოსიმეს საუბარში განუტევა სული.

—

მეორე დილას მთელი ს—ნა და ახლო მახლო სოფლები შეიკრიბა ფეჩეიას გვამის გამოსათხოვებლად. დიდი და პატარა, კაცი და ქალი, ყველა სტიროდა; ყველა სწუხდა ფეჩეიას, „ამ ქვეყნად ჩამოსულის ანგელოზის“, როგორც იმას უძახოდნენ, დაკარგვას. იმდენი ცრემლი, რამდენიც ფეჩეიას ცხედარზედ დაიღვარა, არა მგონია, კიდევ დაღვრილიყოს ს-ნაში. ეს არც გასაკვირველია, რადგან ყოველ მიცვალებულს მხოლოდ მისი ჭირის-უფალი, მისი მახლობელი ნაცნობი და ნათესავი აფრქვევს ცრემლს და ფეჩეიასკი მთელი ს-ნა სტიროდა, როგორც მთელის სოფლისთვის თავდადებულს, როგორც საზოგადო მოღვაწეს. დიაღ, როგორც საზოგადო მოღვაწეს, რადგან ფეჩეიაც საზოგადო მოღვაწე იყო. თუმც იმისი მოღვაწეობა იყო ჩუმი, წყნარი და ს-ნას და მის ახლო-მახლო სოფლებს არ გასცილებია, მაგრამ ბევრი საზოგადო მოღვაწე, სახელითა და შარევანდედით მოსილი, ვერ დაიჩემებდა, რომ იმდენი სარგებლობა მოეტანოს ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთათვის, რამდენიც ჩვენმა ფეჩეიამ მოუტანა. „საუკუნო იყავნ ხსენება შენი, ჭეშმარიტო ქრისტიანო და კეთილო ადამიანო“-ო, დააბოლოვა თავისი მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვა მამა ზოსიმემ ფეჩეიას დასაფლავების დროს და ერთხელ კიდევ გადმოადინა ცრემლი სიბრალულისა და სიყვარულისა შეკრებილს ხალხს.

დუტუ-მეგრელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფელი მუხურა** (შორაპნის მაზრა). სოფელი მუხურა ერთ ღარიბ სოფელთაგანია შორაპნის მაზრაში. მიწის ნიადაგი იქ მწირია. სიმინდი ერთ არშინზე მეტი არ იზდება. აქაური გლეხი. რაც უნდა იშრომოს, მაინც გასასყიდ სიმინდს ვერ მოიყვანს. ამის გამო მუხურლებს ფულის შოვნა ძლიერ უჭირსთ. ერთად ერთი საშუალება ფულის შოვნისა ხე-ტყე იყო, რომელიც გაჰქონდათ დაბა ჩხარში და იქ ჰყიდდნენ, მგრამ დღეს ესეც შემოილია. ძლიერ გაჭირვებაშია აქაური გლეხობა მაშინ, როდესაც აგროვებენ ფოსტის ფულს. ვის ცხვარს ართმევენ, ვის—ღორს და ვის —სახლის ავეჯს, რის გამოც ჩხუბი და აყალ-მაყალი ხშირია. დღეს ერთად ერთი საშუალება გამოგვიჩნდა ფულის შოვნისა. მოცვის ბუჩქები, რომლებითაც შემოსილია აქაური მთები, დღემდე გამოუდეგარი იყო ჩვენთვის. დღეს-კი დიდი თუ პატარანი მოცვის ფოთლებს აგროვებენ, ჩაის აკეთებენ და ჰყიდიან. მაგრამ ნათქვამია, „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო", სწორეთ ასეა ჩვენი საქმე. სად არ იყო, გაჩნდნენ ურიები: მოედნენ მთელ სოფელს და ჰყიდულობენ ჩაის სულ მუქთად: ოყას (სამი გირვანქაა) სამ შაურად, აბაზად, მეტს არ იძლევიან. რომ არ უნდოდეს გაყიდვა გლეხს, ურიებს მაინც ქეიფზე მოჰყავთ. ჯერ ეზოში არ შესულან, არ იციან, აქვს გლეხს გასასყიდი ჩაი თუ არა, და ფული-კი ხელში უჭირავსთ; ჯერ არ გარიგებულან და ურია ფულს აწვდის გლეხს. ამას თავი დავანებოთ. რაღაც უცნაური საწონი მოაქვთ, რომელიც ვერც მღვდელმა იცნო და ვერც ერმა. სამი გირვანქა რომ იყოს, ორი არისო. მოდი და ნუ დაუჯერებ. ურიებმა შარშან ამ მატყუვრობით რამოდენიმე ასი ფუთი ჩაი გაიტანეს მუხურიდამ, წელს კიდევ მეტს თუ გაიტანენ, თორემ ნაკლებს არა. რამდენად უნდა ღირდეს მუხურლებისათვის იმისთანა ღვთისნიერი კაცი, რომელიც დაგვიხსნის ამ მატყუარა ურიების ხელისაგან. ჩვენი ნაწარმოები წყალში არ გადაჰყაროს, ჩვენის ნაწარმოებით თითონაც ისარგებლოს და ჩვენც გვასარგებლოს!

ბაჩუა

1893 წ. 24 მაისს.

## დღესასწაული სიყვარულისა

(ბ—ის რომანიდგან)

თითქმის დავბერდი. მწარე სიცოცხლე კიდეც მომბეზრდა. გული გამიტყდა. არ რას ვხედავდი წუთი-სოფელში სასიამოვნოს... ნეტა სიკვდილმა რად დამივიწყა?

ხშირად მაგონდებოდა ერთი ახალგაზდა კაცი, რომელიც კარგა ხანია ამ მუხთალ ქვეყანას გამოესალმა. მსურდა კვლავ მენახა მისი სახე, კვლავ გამეგონა მისი ტკბილი სიტყვა, კვლავ დავმტკბარიყავ ალერსით სავსე თვალების ცქერით. დღესაც ვფიქრობდი ამ კაცზედ სწორედ იმ დროს, როცა საათმა თორმეტი დაჰკრა. ეს დრო იყო „დღესასწაული სიყვარულისა".

ათ-ოც წელში ერთხელ მოდის ეს დღესასწაული. ღამის თორმეტ საათზედ უცბად იხდება სამარები და ყველა, ვინც შავმა მიწამ მიიბარა, მას ელოდება, ვისაც უყვარდა სიცოცხლის ჟამს, ვისთვისაც გაჩნდა, ვისთვისაც სცოცხლობდა. კარგად ვიცოდი: თუ ჭეშმარიტად გიყვარდა ვინმე, დღეს ეს სიყვარული მიცვალებულს მკვდრეთით აღადგენდა.

დიდხანს ველოდდი ამ დღესასწაულს. წაველ სასაფლაოზედ. მსურდა მენახა ის, ვისაც ჩემთვის უცემდა გული, ვისაც ვუყვარდი ისე ძლიერად, რომ სიცოცხლე თვისი მე შემომწირა, მოკვდა ჩემთვისა და შავს მიწას ამოეფარა.

თბილი ღამეა. ცა მოჭედილი ვარსკვლავებითა ნათლად კაშკაშებს. მივდივარ მარტო. მაცემს წყნარად მრავალ-ტანჯული საბრალო გული და მაგონდება დრო სანეტარო, ოდეს ალერსით მომკიდა ხელი მიცვალებულმა და მითხრა: „მიყვარხარო!"

საცაა ვნახავ კიდეც. მოვეხვევი, მხურვალე კოცნით სიცოცხლესა კვლავ დავუბრუნებ და ვეტყვი: „შენი ვარ, უშენოდ სიცოცხლე არც მსურს, არც შემიძლიან!" და სიცოცხლეს რომ დავუბრუნებ, განა ამით არ დავუმტკიცებ ჩემს სიყვარულსა?

მოველ. ბევრი ხალხია: ზოგი შვილს ეძებს, ზოგი დედასა და ზოგი სატრფოს. სულ აბდილია ყველა სამარე. ვიფიქრე: ნუ თუ ასე მძლავრია სიყვარული, რომ შესძლოს ამ გახრწნილ გვამთ კვლავ სიცოცხლე დაუბრუნოს?

ხმაურობა მომესმა. მოვიხედე. ვნახე ხვევნა, კოცნა, ცრემლი სიყვარულისა...

— ოჰ, ბედნიერებავ!.. ჩემი ხარ ისევ! ისევ შენთანა!..

ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ ლამაზი ქალი ეხვევოდა ახალგაზდა კაცს.

— ვიცოდი, რომ არ დამივიწყებდი; ვიცოდი, რომ მოხვიდოდი დღეს და შენის სიყვარულით სიცოცხლეს დამიბრუნებდი.

ოჰ, რა ტკბილი ყოფილა სიცოცხლე და სიკვდილი-კი რა საშინელებაა!..

საშინელება? მაშ მეც სიცოცხლეს დავუბრუნებ, იმ სიცოცხლეს, რომელიც მევე წავართვი...

აი ისიც. სახე საშინლადა აქვს გაყვითლებული. ხელები გულზედ დაუკრეფია. ხელში რაღაცა ქაღალდი უჭირავს. ნეტა რა უნდა იყოს? სურათი! ჩემი სურათი, ოცის წლის წინად რომ მივეც სახსოვრად.

დავეკონე გაყვითლებულს შუბლს, დავკოცნე, ვეხვეწე, გაეგო ჩემი დაგვიანებული სიყვარული.

— უშენოდ ვერ ვპოვე ბედნიერება, დავრჩი ობლად და მხოლოდ ეხლა დავაფასე შენი ერთგული სიყვარული.

გულმა ოდნავ დაუწყო ცემა. ხელები გამომაწვდინა. ტუჩებზედ განუსაზღვრელ სიხარულის ღიმილმა გადურბინა. თვალები გაახილა და ალერსიანად შემომხედა, სწორედ ისე, როგორც სიცოცხლის დროს მიყურებდა ხოლმე.

მაგრამ ამ დროს მომაგონდა ის დაწყევლილი დღე, როდესაც უარვყავი და არ დავაფასე მისი სიყვარული.

კვლავ მომესმა ხმაურობა. მოვიხედე. დედას ქორფა ყმაწვილი გულში ჩაეკრა. ყმაწვილი ფუნჩულა ხელებით ყელს ეხვეოდა და ალერსიანად შეჰფოფინებდა: „დედავ, დედავ!"

მხოლოდ ეხლა ვიგრძენ, როგორი ყოფილა ჭეშმარიტი სიყვარული, სიყვარული, რომელსაც არც ერთი გრძნობა ადამიანისა არ შეედრება,— სიყვარული დედისა.

„არა, არავინ მიყვარს, წამოვიძახე სასოწარკვეთილებით. სიყვარული შეუძლიანთ მხოლოდ დედას და უმანკო ყმაწვილს და არა მე, რომელმაც მთელი ჩემი სიცოცხლე რაღაც ბედნიერების ძებნაში დავლიე და ვერსად-კი ვერ ვპოვე".

ერთს წამს გაცოცხლებულს სახეს მიცვალებულისას ისევ სიკვდილის ფერმა გადაჰკრა. თვალები დახუჭა. ტუჩებზედ გაჰქრა ღიმილი სიხარულისა.

სადღაც შორს მამალმა იყივლა. სამარე დაიხურა და სასაფლაო წყვდიადმა შეიპყრო...

დავრჩი ისევ ობლად, უნუგეშოდ, უკანასკნელს იმედს მოკლებული.

ა. ნ.

## რუსეთი

შავის ზღვის ნაპირიდამ დაწყობილი მდინარე დუნაიამდე მთელი მიდამო გაპარტახებულია, გლეხმა თითქოს სრულიად ხელი აიღო ხვნათესვაზე და ის არე-მარე, სადაც წინად საუცხოვო ვენახები იყო გაშენებული და მწვანე ჯეჯილი ბიბინებდა, დღეს გავერანებულია.

რითი სცხოვრობს იქ ხალხი?

ყველანი თევზაობენ, თუმცა თევზიც თითქო გაწყდა, თან-და-თან ცოტა-ლა ხვდება ბადეს, სჭრიან ლერწამს და ჰყიდიან, მონადირობენ, მეურმეობენ და ამ ნაირ შრომით მიწასაც მოსწყდნენ და ვერც სამყოფ ლუკმა პურს შოულობენ.

გასაკვირველი არ არისო, ამბობს გაზეთი «Рус. Жизнь»-ი, რომ აქედგან ხალხი ნება-ყოფლობით ციმბირს მიემგზავრება და იქა სახლდება.

იყო დრო და დიდი ხანიც არ გასულა მას აქეთ, როცა ეს «კურთხეული» მხარე, ნოვოროსსია, ბუნებით შემკული, ხალხს სამოთხედ ეჩვენებოდა, მიწა უხვად იყო და გლეხი ჰხნავდა და სთესავდა, სადაც და რამდენიც უნდოდა. შიდა რუსეთიდგან ხალხი ამ მხარეს ეტანებოდა და მთავრობაცა და ადგილობრივი მცხოვრებნიც ხელს უწყობდნენ.

ეხლა?

ეხლა თვით ეს მცხოვრებნი სხვაგან ეძებენ ბინას, სხვაგან უჭირავთ თვალი და სიშორეც-კი ვეღარ იკავებს იმათ თავის მიწა-წყალზე.

ნუ თუ ნოვოროსსიის მინდორ-ველი დიდ-ძალის ხალხით დასახლდა და, სივიწროვისა გამო, ხალხი სულს ვეღარ იბრუნებს, თავისუფალი მიწა ვერ უპოვია სახნავ-სათესად და საქონლის საძოვრად.

სრულიადაც არაო, ამბობს Рус. Жизнь-ი. მიზეზი ის არის, რომ მიწას უგუნურად ექცეოდნენ, უკანასკნელი წვენი გამოსწურეს, გამოფიტეს და გააპარტახესო. ულევლი დედამიწის ზურგზედ არა არის-რა და მიწასაც გამოელია ნოყიერობის ძალა, რომელსაც კაცი დიდხანს უზოგველად აცლიდა.

## უცხოეთი

**საფრანგეთში** უკვე დაიწყო საარჩევანო აგიტაცია. 21 მაისს მარსელის მოქალაქეთ პრემიერს დიუპუის ბანკეტი გაუმართეს. ამ ბანკეტზედ დიუპუიმ სხვათა შორის სთქვა: „ეხლა საფრანგეთში ყველა რესპუბლიკელია; ბევრი უნდა იაროს კაცმა, რომ მონარქიელს შეხვდეს სადმე. მაგრამ მონარქიელებს გარდა არის ერთი დასი, რომელიც ჩვენ მოგვემხრო; და სრულიად საჭირო არ არის ჩვენთვის ამ დასის კავშირი. დასი ძალა-უნებურად მოგვემხრო, რადგანაც დარწმუნდა, რომ 23 წლის რესპუბლიკას ვერას დააკლებენ. „მართალია, ეხლა ცოტა რამ ისწავლეს, მაგრამ არაფერი-კი არ დაივიწყებიათო". შემდეგ დიუპიუმ სთქვა, რომ მთავრობა თითონ ითავებს პალატის შედგენასაო.

ხოლო ძალას-კი არ დაატანს ერს, რაიცა არ შეჰფერის თავისუფალ სახელმწიფოს მთავრობას. ახალ პალატას შეადგენენ რესპუბლიკელები. პროგრამა შემდეგია: 1) კანონმდებლობა მუშათათვის. პალატა ეცდება, ფულის პატრონთა და მუშათა შორის დამოკიდებულება განაწესიეროს, რათა თან-და-თან კეთილ-დღეობა მიანიჭოს მუშებს. 2) რეფორმები სხვა-და-სხვა გარდასახადისა. ვეცდებით, რომ გარდასახადი უფრო სამართლიანად გავაწეროთ. 3) კანონი ასოციაციების შესახებ, რომელსაც შეეძლება სრული თავისუფლება მიანიჭოს მოქალაქეთ.

**ბელგია.** 10 მაისს ბრიუსელში დაიწყო ერთა შორის კონგრესი მადნების მუშებისა. პირველი კრება მოხდა საერო სასახლეში. ამ დღეს უცხოელთა დელეგატებმა გაიცნეს ერთმანეთი, ამოირჩიეს თავმჯდომარე, შეადგინეს ბიურო და სხვ. ყველაზედ ბევრი დელეგატი (38) ინგლისიდგან მოსულა; მათ შორის ექვსი კაცი პარლამენტის წევრია, ამათში ერთი ბერგია, ვაჭრობის მინისტრის თანაშემწე; ბერგი ხაზინადრად იქმნა ამორჩეული. საფრანგეთმა გამოგზავნა 15 დელეგატი, მათ შორის რამდენიმე დეპუტატია და ერთიც ქალაქ კარმოს ცნობილი მერი კალვინიაკი. საგანი კონგრესისა შემდეგია: კრებამ უნდა განიხილოს, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული, რომ კანონით დაწესებულ იქმნას 8 საათის მუშაობა და როგორ გაიფიცნენ ყველანი, თუ ვინიცობაა სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მთავრობანი ამ კანონ-პროექტს არ შეიწყნარებენ; განზრახვა აქვთ აგრეთვე, ეცადნენ სრულიად აკრძალულ იქმნას მადნებში ქალების მუშაობა, მეტი ყურადღება მიექცეს მადნებში მუშაობას, ინსპექტორებად დანიშნულ იქმნან ხოლმე თვით მადნისავე მუშები და სხვ.

## წვრილი ამბავი

ას-მილიონ ფრანკიანი საჩუქარი

მთელ ქვეყნიერებაზედ ყველაზედ მეტბულად გაძლიერებულ გაზეთის „New—lork Herald"-ის გამომცემელმა ბ-ნმა ბენეტმა [illegible] თანამშრომლებს [illegible]

ეს გაზეთი იბეჭდება 190,000 ცალად. კვირა უქმეს გარდა ეს გაზეთი იბეჭდება 16—24 გვერდზედ. ხოლო კვირა უქმე დღეს 42—50 გვერდზედ. Herald-ში ყველა მხრიდგან გამოგზავნილს ამბავს შეხვდებით. არც ერთი ქვეყანა არ არის, რომ ამ გაზეთს კორესპონდენტები არა ჰყავდეს იქ. გაზეთი ისეა გავრცელებული და იმდენი შემოსავალი აქვს თურმე, გაყიდვა რომ იყოს, ოცმილიონ დოლარად, (ანუ ას-მილიონ ფრანკად) გაიყიდება. აი ასეთი გაზეთი უჩუქებია გამომცემელს ამხანაგობისთვის, რომელსაც შეადგენენ: უფროსი ადმინისტრატორი, რედაქტორები, თანამშრომლები, რეპორტერები, რედაქციის კანტორის მოხელენი, გაზეთის მკეცველები, ასოთ-ამწყობნი, კორექტორები, მეტრამპაჟები, რედაქციის ტელეგრაფის მოხელენი, გაზეთის დამტარებელნი, მეშვეკადე, ერთის სიტყვით, მთელი ჯარი, რომელიც ამ გაზეთზედ მუშაობს.

გაზეთის პატრონს ეხლავე სურს გადასცეს ამ ამხანაგობას თავისი გაზეთი, რათა ჩემ სიკვდილს შემდეგ გაზეთზე ცილობა და დავა არ ასტყდესო.

## დეპეშა

25 მაისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია: სასჯელთა დებულებანი უცხო ქვეყნიდგან ბაჟ-დადებულ საქონლის ჩუმად შემოტანისათვის შემოღებულ იქმნას აგრეთვე რუსეთიდგან საზღვარ გარედ საქონლის ჩუმად გატანისთვისაც.

გრაფ კალნოკის სიტყვის გამო „Journal de St.-Petersbourg"-ი ამბობს: კალნოკის სიტყვას ხალხი პატივს სცემს, რადგანაც ეს სიტყვა საზოგადოებას ამშვიდებსო.

გუშინ გარდაიცვალა ცნობილი ფილოლოგი და მწერალი ვიცე-პრეზიდენტი მეცნიერების აკადემიისა გროტი.

26 მაისი.

**ბერლინი.** „Natlonal Zeitung"-ი ამბობს, რომ გრაფ კალნოკის სიტყვა და თოფ-იარაღის აყრის შესახები ლაპარაკი აგულიანებს ოპოზიციას გერმანიის სამხედრო კანონ-პროექტის წინააღმდეგ. თუ მართლა ავსტრიას კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთის მიმართ, ურიგო არ იქნება მაშ გერმანიამ გაიხსენოს, რომ გერმანია და რუსეთი მეზობელნი არიან, რომელთაც უმაღლესს პოლიტიკაში არავითარი ერთიერთმანერთის საწინააღმდეგო ინტერესი არა აქვთ. იმის მაგივრად, რომ ომი ვიქონიოთ რუსეთთან და საფრანგეთთან, ის სჯობია, რომ ორივე მეზობელთა მხედრობამ მშვიდობის დასამყარებლად იმოქმედოს. ეს გარემოება გერმანიას ჭეშმარიტს უპირატესობას შესძენს საფრანგეთის წინაშე, და, ვგონებ, თვით იტალიაშიაც კმაყოფილნი დარჩებიან ევროპის მდგომარეობის ასე მოწყობით.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიაში გრაფმა კალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკიმ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ავსტრი-ვენგრიისა და რუსეთის ურთი-ერთობას მეგობრული ხასიათი აქვს. და იმედი უნდა ვქონიოთ, რომ მომავალშიაც ეს დამოკიდებულობა არ შეიცვლება, ის აზრი-კი, რომ რუსეთის მეთაურთ მართალია მშვიდობა ჰსურთ, ექვ გარეშეა. ხოლო რუსეთის მწერლობის ზოგჯერ გამწვავებულ ლაპარაკს ნამისო ყურადღება არ უნდა მიექცეს; თუმცა ასეთ კილო წერისა სამწუხაროა იმ მხრით, რომ ასე თუ ისე მოქმედობს საზოგადოებაზედ. გარდა ისიც უნდა დავსძინოთ, რომ რუსეთის მწერლობას მაგდენი მნიშვნელობა არა აქვს-რა საქმის გარდაწყვეტაში.

### პეტერბურგის ბირჟა, 25 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ნახევარ-იმპერიალი ოქრო . | 7,83 | 7,60 | — „ |
| გამოყენის კუპონები . | 150³/₄ | 151¹/₂ | — „ |
| ბანკიერიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,01 | 1,03 | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 245³/₄ |
| მეორისა . . . . . | — „ | — „ | 222³/₄ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| საქართველოს თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 194¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5°/₀. . . . . . . | — „ | 100¹/₄ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — „ | 101 | — „ |
| 5°/₀. . . . . . . | — „ | 100¹/₄ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის წარმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. აღს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დილით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დილით.

სამშაბათობით: დილით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დილით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით-ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---

# განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის მოურავის საბან.

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანები, მომხდარი ამა წლის 16 მაისს, საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ უკანონოდ სცნო და გააუქმა.

ამის გამო და იმავე საკრებულოს დადგინებით, 30 მაისს, დილის 9 საათზედ, სახელმწიფო თეატრის დარბაზში, ინჟენერის ქუჩაზედ, ხელახლად მოხდება საარჩევნო კენჭის ყრა და არჩევა იმ პირთა, რომელთაც საარჩევნო ყუთები ედგათ 16 მაისს.

კრებაზედ შესვლის დროს ამომრჩეველთ უნდა წარადგინონ ის ბილეთები, რომელიც მიიღეს 16 მაისს მომხდარ არჩევანებისთვის.

ვინც მაშინ არ აიღო ბილეთი, შეუძლიან მიიღოს ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, 30 მაისის დამლევამდე.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის თ.

**ნიკოლოზ ბარათაშვილის**

მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერების გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც-კი მოეპოვება ჯერედ კიდევ დაუბეჭდავი მისი ლექსები, წერილები, ნათარგმნები და სხვა, ანუ საკუთარის მის ხელით დაწერილი რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილიც იყვეს, ინებონ და გამოგზანონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდევ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს. (5—2)

---

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

**ავადმყოფებს მიიღებს:**

დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—57)

---

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## ქრისტინე

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**

გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ ვრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II, III და IV ტომი თითო ტომი. | 1 | 40 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| სამი ცალქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . | 1 | 50 |

---

## პირველი კერძო საავადმყოფო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით იღებენ:**

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, 12¹/₂—1 საათამდის, სნეულებანი: საშვილოსნო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით მიიღებენ:**

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზეთით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი საავადმყოფოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---




ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

## ალექსი თუთაევის

### ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20°/₀-ის ბეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შევატყობინონ.

(48—12) ალ. თუთაევი

---

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა, და ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—33) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი